




**ხარისხის სერტიფიკატი
ამიაკის წყალი ტექნიკური
სასტ 16611042-004-2017**



ამიაკის წყალი ტექნიკური მიიღება აირადი ამიაკიდან, ან თხევადი ამიაკიდან ან ამიაკის შემცველი აირებიდან გაუმარილოებული წყლით ამიაკის შთანთქმის შედეგად.

მარკენაბლების დასახელება:

ამიაკის მასური წილი, %	20-25
აზოტზე გადათვლილი, %	16,4-20,5
არააქროლადი ნარჩენის მასური კონცენტრაცია, გ/დმ ³	არ ინორმება
ნახშირორჟანგის (CO_2) მასური კონცენტრაცია, გ/დმ ³ , მაქს.	8

თვისებები:

ამიაკის წყალი ტექნიკური წარმოადგენს უფერო (ზოგჯერ მოყვითალო შეფერილობის) გამჭვირვალე სითხეს. არ იწვის და არა ფეთქებადსაშიშია. ამიაკის წყალი იწვევს ფერადი ლითონების (თუთიას, კალას და სპილენძის) და მათი შენადნობის (ლატუნის, ბრინჯაოს) კოროზიას.

გამოყენება:

ამიაკის წყალი ტექნიკური გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაში აზოტმჟავას, აზოტოვანი სასუქების, პოლიმერების, სოდის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, საღებავების, ფეროშენადნობების და ელექტროლიზური Mn-ის წარმოებისათვის. სამაცივრო ტექნიკაში ამიაკის წყალი ტექნიკური გამოიყენება სიცივის აგენტის სახით. სოფლის მეურნეობაში გამოიყენება აზოტოვანი სასუქის სახით. რადგანაც ნორმალური ატმოსფერული წნევის დროს ამიაკის დუდილის ტემპერატურა შეადგენს -33.40°C , ჩვეულებრივ პირობებში ამიაკის წყლიდან გამოიყოფა გაზობრივი ამიაკი, რომელიც იწვევს ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის, თვალების გაღიზიანებას და ხველას. საჭიროა ცხვირის ღრუს და თვალების სპეციალური დაცვა.

მიწოდება:

ტრანსპორტირდება სარკინიგზო ცისტერნებით და ამიაკის გადაზიდვებით.